

საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი (2023 წლის დეკემბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2023 წლის დეკემბრის თვეში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

2023 წლის 13 დეკემბერს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება და მე-80 მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილები (დაბეგვრის ობიექტი); მუხლი 81 (გადასახადის განაკვეთი); მუხლი 97 (დაბეგვრის ობიექტი) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge>, სარეგისტრაციო კოდით: 200000000.05.001.102147

კანონი ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან.

ამავე კოდექსში 2023 წლის 13 დეკემბერს განხორციელდა ცვლილება და მე-80 მუხლის (დაბეგვრის ობიექტი) მე-7 და მე-8 ნაწილები; 81-ე მუხლის 3¹ ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3¹. ფიზიკური პირის მიერ სათამაშო აპარატების სალონის მოწყობიდან ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზებიდან მიღებული დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 15 პროცენტით.“; 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ბ) აზარტული კლუბის, ტოტალიზატორის მომწყობის მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი“; მუხლი 97 (დაბეგვრის ობიექტი) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით; მუხლი 135 (საანგარიშო პერიოდი); მუხლი 154 (გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების წესი) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge>, სარეგისტრაციო კოდით: 200000000.05.001.102134

კანონი ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კანონი „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“

2023 წლის 13 დეკემბერს „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 21-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სათამაშო ბიზნესის კონტროლის ელექტრონული სისტემით კონტროლდება სამორინის მოწყობის ნებართვის მფლობელის, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელის, ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის მფლობელის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების ნებართვის მფლობელის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზების ნებართვის მფლობელისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება.“;

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 040170310.05.001.102140

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი

2023 წლის 13 დეკემბერს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მუხლი 141⁵ (შენობა-ნაგებობის მშენებლობისას საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის განსაზღვრული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების დროებითი წესი) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge>, სარეგისტრაციო კოდით: 330090000.05.001.102149

კანონი ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“

2023 წლის 15 დეკემბერს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება და 2¹ მუხლი (იძულებითი აღსრულების ღონისძიებების განხორციელების შეზღუდვა); მუხლი 34 (აღსრულების შეწყვეტა) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 070000000.05.001.102193

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-2–მე-5 პუნქტებისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და მე-2-მე-5 პუნქტები ამოქმედდება 2024 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“

2023 წლის 15 დეკემბერს „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა შემდეგი შინაარსის 20¹⁵ მუხლი:

1. 2024 წლის 1 ივლისიდან გაუქმდება საქართველოს მოქალაქის პირადობის ის მოქმედი არაელექტრონული (ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის არმქონე) მოწმობები, რომლებიც გაცემულია 2011 წლის 28 ივლისამდე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მფლობელ პირზე პირადობის იმავე მოწმობის სანაცვლოდ გაცემულ საქართველოს მოქალაქის პირადობის ახალ მოწმობაზე დაიტანება შესაბამისი პირის იგივე საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლებიც დატანილია აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებულ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობაზე.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდი: 010130000.05.001.102219

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“

2023 წლის 15 დეკემბერს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება და მუხლი 5 (ადგილობრივი მოსაკრებლები); მუხლი

12³ (საკონტეინერო მოსაკრებელი); მუხლი 17⁷ (საკონტეინერო მოსაკრებლის გადახდისგან გათავისუფლება) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 210020010.05.001.102155

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

კანონის პირველი მუხლი ამოქმედდება 2024 წლის 1 თებერვლიდან

საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“

2023 წლის 15 დეკემბერს საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება და მე-2 მუხლი (კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება); მუხლი 11 (უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებული უფლებები და ვალდებულებები) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 040150000.05.001.102216

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

კანონის პირველი მუხლის პირველი, მე-3 და მე-5 პუნქტები ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს.

კანონის პირველი მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები ამოქმედდება 2024 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“

2023 წლის 15 დეკემბერს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება და მუხლი 2 (ტერმინთა განმარტება); მუხლი 6 (ზოგადი განათლება) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 430050000.05.001.102161

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტისა, ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან.

კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“

2023 წლის 15 დეკემბერს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 4 (კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება); „მუხლი 23¹ (საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ბეჭდური ნაწარმოების ნებადართული გამოყენება ბეჭდური ნაწარმოების კითხვისთვის საჭირო უნარის დარღვევის მქონე პირის სასარგებლოდ) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 050000000.05.001.102146

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

კანონის პირველი მუხლი, გარდა პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კანონის 23¹ მუხლის მე-9 პუნქტისა, ამოქმედდება გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კანონის 23¹ მუხლის მე-9 პუნქტი ამოქმედდება 2024 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი

2023 წლის 15 დეკემბერს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მუხლი 141⁸ (უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე შენობა-ნაგებობის მშენებლობის კანონიერება) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 330090000.05.001.102223

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

კანონის პირველი მუხლი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

2023 წლის 15 დეკემბერს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუხლი 4 (ხანდაზმულობის ვადა); მუხლი 8 (ტერმინთა განმარტება); მუხლი 39 (საგადასახადო საუდუმლოება) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 200000000.05.001.102208

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-11 ნაწილისა, მე-12 ნაწილის „ა“-„დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებისა, მე-14-მე-16 ნაწილებისა, მე-17 ნაწილის „ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტებისა, მე-18-მე-20 ნაწილებისა და 23-ე ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

კანონის პირველი მუხლის 23-ე ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან.

კანონის პირველი მუხლის მე-11 ნაწილი, მე-12 ნაწილის „ა“-„დ“ და „ვ“ ქვეპუნქტები, მე-14-მე-16 ნაწილები, მე-17 ნაწილის „ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტები და მე-18-მე-20 ნაწილები ამოქმედდა გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996

2023 წლის 5 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №465 ბრძანებით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა №996 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ინსტრუქციის მუხლი 14 (დოკუმენტის საჯაროდ გავრცელება) დატვიცდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017770

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 25 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №494 ბრძანებით შევიდა ცვლილება და ინსტრუქციის მუხლი 112 (ძირითად საშუალებათა

მიხედვით საამორტიზაციო ანარიცხების სრულად გამოქვითვა) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017776

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 26 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №497 ბრძანებით შევიდა ცვლილება და ინსტრუქციის დანართი №II-04¹-ის შემდეგ დაემატა თანდართული რედაქციის დანართი №II-04²; მუხლი 333 (ფიზიკური პირის მიერ ქონების/აქტივის მიწოდებაზე საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია და მისი შევსების წესი) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017777

ბრძანება ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება 257

2023 წლის 6 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №470 ბრძანებით №257 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დანართის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017772

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 6 დეკემბერს შევიდა ცვლილება და საქართველოს ფინანსთა მინისტრის №469 ბრძანებით „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №8) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017771

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 6 დეკემბერს შევიდა ცვლილება და საქართველოს ფინანსთა მინისტრის №471 ბრძანებით საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №3) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017773

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის ბრძანება №011

2023 წლის 25 დეკემბერს ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს 2023 წლის 17 თებერვლის №003 ბრძანება „პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

დამტკიცდა „პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემის შესახებ“ თანდართული ინსტრუქცია.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 280030000.73.085.016024

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2023 წლის 20 ნოემბრის შემდეგ არსებულ ურთიერთობებზე, გარდა წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული „პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-3 პუნქტისა;

ბრძანებაზე თანდართული „პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი და 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდა 2024 წლის 3 იანვრიდან.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის ბრძანება №012

2023 წლის 25 დეკემბერს ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 31 ივლისის №007 ბრძანება „დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის მიერ საინვესტიციო პორტფელის ან საინვესტიციო პორტფელების კომბინაციის არჩევის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“

დამტკიცდა „დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის მიერ საინვესტიციო პორტფელის არჩევის შესახებ ინსტრუქცია“ (შემდგომში – ინსტრუქცია) ამ ბრძანებაზე თანდართული ფორმით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 280060000.73.085.016025

ბრძანება ამოქმედდა 2024 წლის 3 იანვარს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №377/04

2023 წლის 25 დეკემბერს ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის №37/04 ბრძანების დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნა ცვლილება და მუხლი 1 (ზოგადი დებულებები); მუხლი 3 (რეგისტრაციის პირობები) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 220090000.18.011.016803

ბრძანება ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის ბრძანება №002

2023 წლის 25 დეკემბერს „საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საპენსიო სააგენტოს დირექტორის №010 ბრძანებით 2019 წლის 30 ივლისის №002 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და მუხლი 1 (ინსტრუქციის რეგულირების და მოქმედების სფერო); მუხლი 4 (დასაქმებულის გაწევრიანება დაგროვებით საპენსიო სქემაში და რეგისტრაცია საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 280030000.73.085.016023

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის ბრძანება №001

2023 წლის 25 დეკემბერს დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო შენატანების და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო ან/და სხვა შემოსავლის დაბრუნებისა და ხელახლა გაწევრიანების წესის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის №001 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

„1. დასაქმებული, რომელსაც კანონის ამოქმედებამდე (2018 წლის 6 აგვისტოს 24:00 საათი) შეუსრულდა 40 წელი და არ სურს იყოს საპენსიო სქემის მონაწილე, უფლებამოსილია, საპენსიო სქემაში სავალდებულო წესით, ავტომატურად გაწევრიანების თარიღიდან 5 (ხუთი) თვის ვადაში, მაგრამ არაუადრეს გაწევრიანების თარიღიდან 3 (სამი) თვისა, გავიდეს საპენსიო სქემიდან ამ წესის შესაბამისად.“.

2. 8¹ მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის შემდეგ, დასაქმებულის ინდივიდუალური საპენსიო გვერდი არ უქმდება, თუმცა ხდება არააქტიური და დასაქმებულს უნარჩუნდება ინდივიდუალური საპენსიო გვერდზე წვდომა.“.

2. საპენსიო სქემიდან გასული დასაქმებული და ასევე საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია გამოიყენოს ინდივიდუალური საპენსიო გვერდი ერთმანეთთან კომუნიკაციის მიზნებისათვის.“.

3. მე-9 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

„2. საპენსიო სქემის დატოვების შემდეგ, ხელახლა გაწევრიანების შემთხვევაში, დასაქმებული ჩაითვლება საპენსიო სქემაში სავალდებულო წესით გაწევრიანებულად და არ იქნება უფლებამოსილი კვლავ დატოვოს საპენსიო სქემა.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მქონე მე-3 და მე-4 პუნქტები:

„3. დასაქმებული, საპენსიო სქემაში ხელახლა გაწევრიანების შემთხვევაში, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს მის ყველა დამსაქმებელს.“.

4. საპენსიო სქემაში ხელახლა გაწევრიანებული დასაქმებულისთვის, მისი დამსაქმებლის მიერ პირველი საპენსიო შენატანის განხორციელება გამოიწვევს ელექტრონულ სისტემაში ამ დასაქმებულის შესახებ საინფორმაციო ჩანაწერის შექმნას, რომელიც დაადასტურებს დასაქმებულის დაგროვებით საპენსიო სქემაში ხელახლა გაწევრიანების ფაქტს და შექმნის საფუძველს ხელახლა გაწევრიანებული დასაქმებულის ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშის გააქტიურებისათვის.“.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 280030000.73.085.016022

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2023 წლის 20 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთერთობებზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №01

2023 წლის 28 დეკემბერს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ №17 ბრძანებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 1 მარტის №01 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და მუხლი 8 (სამსახურის სტრუქტურა); მუხლი 16 (საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 080240000.78.091.016018

ბრძანება ამოქმედდა 2024 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №506

2023 წლის 25 დეკემბერს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 86-ე მუხლისა და „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის, „თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგია 2021 – 2025-ის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 ივნისის №285 დადგენილების გათვალისწინებით, დამტკიცდა თანდართული „თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგია 2021 – 2025-ის“ განხორციელების სამოქმედო გეგმა 2024-2025 წლებისთვის“.

ზემოაღნიშნული გეგმის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 340150000.10.003.024340

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №567

2023 წლის 25 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №567 დადგენილებით ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №567 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ მუხლი 1 (ტერმინთა განმარტება); მუხლი 3 (პროგრამის მიმართულებების აღწერა) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 240140000.10.003.024336

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

მოქალაქეობის საკითხთა კომისიის დადგენილება №2

2023 წლის 27 დეკემბერს მოქალაქეობის საკითხთა კომისიის №2 დადგენილებით „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ მოქალაქეობის საკითხთა კომისიის 2018 წლის 4 სექტემბრის №2 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და მუხლი 6 (საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე განცხადების წარდგენის წესი); მუხლი 19 (საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვის პროცედურა) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 010110000.69.081.016007

დადგენილება, გარდა ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი, მე-2 და მე-7 პუნქტებისა, ამოქმედდა 1 იანვრიდან.

დადგენილების პირველი მუხლის პირველი, მე-2 და მე-7 პუნქტები ამოქმედდება 2024 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №476

2023 წლის 29 საქართველოს მთავრობის №541 დადგენილებით „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და მუხლი 1 (ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის კოეფიციენტები) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 430210000.10.003.024380

დადგენილება ამოქმედდა 2024 წლის პირველი იანვრიდან.